

აჭარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის

2021 წლის პროგრამული ბიუჯეტის შესრულების ანგარიში

აჭარის(ზემო აფხაზეთის)მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში მოიცავს აჭარის(ზემო აფხაზეთის)მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების (პროგრამებისა და ქვეპროგრამების მიხედვით),პრიორიტეტების, განსახორციელებელი პროგრამების და ქვეპროგრამების ერთობლიობის ანგარიშს.

I თავი.

2021წლის ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები ასეთია:

ცხრილი #1

დასახელება	2020წლის ფაქტი	2021წლის გეგმა			2021წლისფაქტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	1111.10	1110.00	30.00	1080.00	1110.40	30.00	1080.40
გადასახადები	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
გრანტები	1110.00	1110.00	30.00	1080.00	1110.00	30.00	1080.00
სხვა შემოსავლები	1.10	0.00	0.00	0.00	0.40	0.00	0.40
ხარჯები	1082.50	1170.00	30.00	1140.00	1138.40	30.00	1108.40
შრომის ანაზღაურება	498.80	534.30	30.00	504.30	528.60	30.00	498.60
საქონელი და მომსახურება	95.10	124.30	0.00	124.30	109.30	0.00	109.30
ძირითადი კაპიტალის მომსახურება	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
სუბსიდიები	82.90	91.00	0.00	91.00	88.70	0.00	88.70
სოციალური უზრუნველყოფა	260.10	280.90	0.00	280.90	279.40	0.00	279.40
სხვა ხარჯები	145.60	139.50	0.00	139.50	132.40	0.00	132.40
საოპერაციო სალდო	28.60	-60.00	0.00	-60.00	-28.00	0.00	-28.00

არაფინანსური აქტივების ცვლილება	4.70	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
ზრდა	4.70	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
კლება	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
მთლიანი სალდო	23.90	-60.00	0.00	-60.00	-28.00	0.00	-28.00
ფინანსური აქტივების ცვლილება	17.90	-60.00	0.00	-60.00	-28.00	0.00	-28.00
ზრდა	50.50	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
ვალუტა და დეპოზიტები	50.50	0.00	0.00		0.00	0.00	
კლება	32.60	60.00	0.00	60.00	28.00	0.00	28.00
ვალუტა და დეპოზიტები(ნაშთის გამოყენება)	32.60	60.00	0.00	60.00	28.00	0.00	28.00
ვალდებულებების ცვლილება	-6.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
ზრდა	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
საშინაო	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
კლება	6.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
საშინაო	6.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
ბალანსი	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
ნაშთის ცვლილება	17.90	-60.00	0.00	-60.00	-28.00	0.00	-28.00

### შემოსულობები

სახეობების მიხედვით შემოსულობების შესრულება შემდეგნაირია:

#### I შემოსავლები

აჭარის(ზემო აფხაზეთის)მუნიციპალიტეტის 2021 წლის დაზუსტებული ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) გეგმა 1110.40ათასი ლარი ფაქტიურად 1110.0ათასი ლარით შესრულდა, რამაც გეგმის 100,0% -ია.

-გადასახადების სახით ბიუჯეტში 2021წელს აჭარის ბიუჯეტში თანხები არ შემოსულა.

#### -გრანტები

საანგარიშო პერიოდში გრანტების სახით ბიუჯეტში მიღებულიქნა 1110,0 ათასი ლარი, მათ შორის: სპეციალური ტრანსფერი \_ 1080,0 ათასი ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად – 30,0 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 100%-ით.

#### - სხვა შემოსავლები

2021წელს სხვა შემოსავლების სახით ბიუჯეტში თანხები არ შემოსულა. შემოსულია შეცდომით 420ლარი მოსაკრებელი გადამფრენი ფრინველების ამოღებაზე, რომელიც ვერ ჩაითვლება აჭარის მუნიციპალიტეტის შემოსავლად, წლის განმავლობაში ხაზინა გაასწორებს ჩარიცხვას.

II არაფინანსური აქტივები

მიმდინარე პერიოდში ადგილობრივ ბიუჯეტში ამ მუხლით თანხები არ შემოსულა.

III ფინანსური აქტივები

2021წლის 01 იანვრისათვის ნაშთი შეადგენდა -66,488.32ლარს. 01.01.2022წლისათვის ნაშთი აჭარის მუნიციპალიტეტის ნაშთი შეადგენს- 38497ლ37თეთრი.

ნაშთი პერიოდის დასაწყისში	დებეტი	კრედიტი	ნაშთი პერიოდის ბოლოს
66,488.32	1,112,071.00	1,140,061.95	38,497.37

IV ვალდებულებების ცვლილება

2021წლის ბიუჯეტით დაუკმაყოფილებელი ვალდებულებები ანგარიშზე არ წარმოშობილა.

ცხრილი #2

დასახელება	კოდი	2020წლის ფაქტი	2021წლის გეგმა			2021წლის ფაქტი			საკასო შესრულების % დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში
		სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან	საკუთარი შემოსავლები	
შემოსულობები		1111.10	1110.00	30.00	1080.00	1110.40	30.00	1080.40	100.04
შემოსავლები		1111.10	1110.00	30.00	1080.00	1110.40	30.00	1080.40	100.04
შემოსავლები	1	1111.10	1110.00	30.00	1080.00	1110.40	30.00	1080.40	100.04
გრანტები	13	1110.00	1110.00	30.00	1080.00	1110.00	30.00	1080.00	100.00
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	133	1110.00	1110.00	30.00	1080.00	1110.00	30.00	1080.00	100.00
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	1311	1110.00	1110.00	30.00	1080.00	1110.00	30.00	1080.00	100.00

მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად		30.00	30.00	30.00	0.00	30.00	30.00	0.00	100.00
სპეციალური ტრანსფერი სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად		1080.00	1080.00	0.00	1080.00	1080.00	0.00	1080.00	100.00
სხვა შემოსავლები	14	1.10	0.00	0.00	0.00	0.40	0.00	0.40	
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	142	0.30	0.00	0.00	0.00	0.40	0.00	0.40	
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	1422	0.30	0.00	0.00	0.00	0.40	0.00	0.40	
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	14229	0.30	0.00		0.00	0.40		0.40	
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	145	0.80	0.00			0.00		0.00	

**გადასახდელები**

აქარის(ზემო აფხაზეთის)მუნიციპალიტეტის დაზუსტებული ბიუჯეტის 2021 წლის გადასახდელების გეგმიური მაჩვენებელი განისაზღვრა 1170.00ათ. ლარის ოდენობით, ხოლო გადასახდელების საკასო შესრულებამ შეადგინა 1,138,40ათასი ლარი, გეგმასთან მიმართებაში შესრულებამ შეადგინა-97,30%.

საბიუჯეტო კლასიფიკაციის ფუნქციონალურ ჭრილში - ხარჯები და არაფინანსური აქტივების გეგმის შესრულება ასე გამოიყურება:

**ცხრილი #3**

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2020წლის ფაქტი	2021წლის გეგმა		2021წლის ფაქტი		საკასო შესრულების % დაზუსტებულ
			სულ	მათ შორის	სულ	მათ შორის	

				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან	საკუთარი შემოსავლები	გეგმასთან მიმართებაში
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	568.60	616.40	0.00	616.40	600.50	0.00	600.50	97.42
7011	ადმსრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	568.60	616.40	0.00	616.40	600.50	0.00	600.50	97.42
70111	ადმსრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	568.60	615.60	0.00	615.60	600.50	0.00	600.50	97.55
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0.00	0.80	0.00	0.80	0.00	0.00	0.00	0.00
702	თავდაცვა	28.80	31.20	30.00	1.20	31.20	30.00	1.20	100.00
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
704	ეკონომიკური საქმიანობა	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
705	გარემოს დაცვა	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	1.20	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	1.20	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
707	ჯანმრთელობის დაცვა	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	55.40	74.00	0.00	74.00	65.00	0.00	65.00	87.84
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	27.00	36.60	0.00	36.60	33.40	0.00	33.40	91.26
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	28.40	37.40	0.00	37.40	31.60	0.00	31.60	84.49

709	განათლება	31.10	37.00	0.00	37.00	36.60	0.00	36.60	98.92
7091	სკოლამდელი აღზრდა	31.10	37.00	0.00	37.00	36.60	0.00	36.60	98.92
710	სოციალური დაცვა	402.10	411.40	0.00	411.40	405.10	0.00	405.10	98.47
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	84.10	94.50	0.00	94.50	94.30	0.00	94.30	99.79
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	42.50	40.50	0.00	40.50	39.00	0.00	39.00	96.30
7103	ომში დაღუპულ პირთა ოჯახების სოციალური დაცვა	15.00	14.50	0.00	14.50	14.50	0.00	14.50	100.00
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	50.40	51.80	0.00	51.80	51.00	0.00	51.00	98.46
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	195.60	187.10	0.00	187.10	183.30	0.00	183.30	97.97
7109	დევენილი ოჯახებისთვის დაკრძალვის ხარჯების ნაწილობრივი ანაზღაურებაში დახმარება	14.50	23.00	0.00	23.00	23.00	0.00	23.00	100.00
	სულ	1087.20	1170.00	30.00	1140.00	1138.40	30.00	1108.40	97.30

არაფინანსური აქტივების ცვლილება(ზრდა, კლება)2021წლის ბიუჯეტით არაფინანსური აქტივების ცვლილებას(ზრდა,კლება)ადგილი არ ჰქონია.

**ფინანსური აქტივების ცვლილება**

ცხრილი #4

დასახელება	2020წლის ფაქტი	2021წლის გეგმა		2021წლისფაქტი	
		სულ	მათ შორის	სულ	მათ შორის

			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან	საკუთარი შემოსავლები
ფინანსური აქტივების ცვლილება	17.90	-60.00	0.00	-60.00	-28.00	0.00	-28.00
ზრდა	50.50	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
ვალუტა და დეპოზიტები	50.50	0.00	0.00		0.00	0.00	
კლება	32.60	60.00	0.00	60.00	28.00	0.00	28.00
ვალუტა და დეპოზიტები(ნაშთის გამოყენება)	32.60	60.00	0.00	60.00	28.00	0.00	28.00


**ვალდებულებების ცვლილება**

2021წლის ბიუჯეტით დაუკმაყოფილებელი ვალდებულებები ანგარიშზე არ წარმოშობილა.

**II თავი. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებების შესრულება**

**2019წლისა და 2021წლის ხარჯების გეგმების შესრულების შედარება**

ცხრილი #5



2019წლისა და 2021წლის დაფინანსება თანაბარი იყო. 2021წელს გასული წლების ნაშთის გამოყენების შედეგად გაიზარდა ხარჯვითი ნაწილი.

**ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით ხარჯების შესრულება 2021წელს ასე გამოიყურება:**

ცხრილი #6

ეკ.კოდი	დასახელება	2020წლის	2021წლის გეგმა		2021წლის ხარჯი		საკასო შესრულებული
			სულ	მათ შორის	სულ	მათ შორის	

		ფაქტი		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	ბის % 2021წლის დაზუსტებულთან მიმართებაში
	აჟარის მუნიციპალიტეტი	1093.2	1170	30	1140	1138.4	30	1108.4	97.30
2	ხარჯები	1082.5	1170	30	1140	1138.4	30	1108.4	97.30
2.1	შრომის ანაზღაურება	498.8	534.3	30	504.3	528.6	30	498.6	98.93
2.2	საქონელი და მომსახურება	95.1	124.3	0	124.3	109.3	0	109.3	87.93
2.5	სუბსიდიები	82.9	91	0	91	88.7	0	88.7	97.47
2.7	სოციალური უზრუნველყოფა	260.1	280.9	0	280.9	279.4	0	279.4	99.47
2.8	სხვა ხარჯები	145.6	139.5	0	139.5	132.4	0	132.4	94.91


პრიორიტეტების მიხედვით დაფინანსების სტრუქტურა შემდეგია:

აჟარის(ზემო აფხაზეთის)მუნიციპალიტეტის 2021წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო შემდეგი პრიორიტეტების დაფინანსება:

ცხრილი #7

ხარჯების სტრუქტურა პრიორიტეტების მიხედვით			
პროგ. კოდი	დასახელება	2021 ფაქტი	%
სულ	მუნიციპალიტეტის ასიგნებები	1138.4	100
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	631.80	55.50
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	0.00	0.00
03 00	განათლება	36.60	3.22
04 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	65.00	5.71
05 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	405.00	35.58





**1.მმართველობითი ორგანოების დაფინანსება**

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება 2021წელს დაფინანსდა 631.70ათასი ლარით, გეგმით გათვალისწინებული იყო 647.60ათ.ლარი. შესრულება -97.54%

2021წელს აჭარის(ზემო აფხაზეთის)მუნიციპალიტეტის საკრებულოს (კოდი 01 01 01) ხარჯების გეგმა 249,0ათ.ლარით, შესრულებამ შეადგინა 246,8ათ.ლარი გეგმა შესრულდა 99,12%-ით

ხოლო გამგეობის (კოდი 01 01 02) ხარჯების გეგმა- 366.60ათ.ლარი შესრულებამ შეადგინა 353,7ათასი ლარი, შესრულება 96,48%-ს შეადგენს.

სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის გეგმა - (კოდი 01 01 03)-31,2ათ.ლარი, შესრულება 31,2ათ.ლარი. მ.შ. დაფინანსდა მიზნობრივი ტრანსფერით -30,0ათ.ლარით. შესრულება -100%,

**სარეზერვო ფონდი(კოდი 01 02 01)** 2021წელს სარეზერვო ფონდი გათვალისწინებული იყო 20,0ათ.ლარის ოდენობით. სარეზერვო ფონდიდან 23დევნილ ოჯახს, რომლებიც ცხოვრობენ თეთრიწყაროს რაიონის სოფელ კოდაში , გაეწიათ დახმარება(გამგებლის ბრძანება #2-98 01/11/2021წ) საკანალიზაციო არხების გაწმენდაში, თანხობრივად ხარჯმა შეადგინა 400ლარი. 19,0ათ.ლარი ნოემბრის თვეში გადატანილიქნა სოციალური დახმარებების (პროგ.კოდი 05 01 05), დევნილი ოჯახებისთვის საახალწლო პროდუქტების შემენის მიზნით(ვინაიდან პროდუქტების გამკვირების გამო ამ პროგრამაში თანხა დაგვაკლდა).

**წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებებისა და სასამართლო აღსრულების (კოდი 01 02 02)** აჭარის(ზემო აფხაზეთის)მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული 200ლარი ფონდიდან 2021წელს ხარჯი არ გაწეულა. მუნიციპალიტეტს გასული წლების დავალიანებები არ ჰქონია

ცხრილი #8

ორგ.კოდი	დასახელება	2020წლის ფაქტი	2021წლის გეგმა	2021წლის ხარჯი	საკასო შესრულების

			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		% დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან	საკუთარი შემოსავლები	
01 00	მმართველობითი და ადმინისტრაციული ორგანოების დაფინანსება	597.40	647.60	30.00	617.60	631.70	30.00	601.70	97.54
	მომუშავეთა რიცხოვნობა	33	33	2	31	33	2	31	0
	ხარჯები	592.70	647.60	30.00	617.60	631.70	30.00	601.70	97.54
	შრომის ანაზღაურება	498.80	534.30	30.00	504.30	528.60	30.00	498.60	98.93
	საქონელი და მომსახურება	92.00	108.50	0.00	108.50	99.10	0.00	99.10	91.34
	სოციალური უზრუნველყოფა	1.80	3.90	0.00	3.90	3.90	0.00	3.90	100.00
	სხვა ხარჯები	0.10	0.90	0.00	0.90	0.10	0.00	0.10	11.11
	არაფინანსური აქტივების ზრდა	4.70	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
	ძირითადი აქტივები	4.70	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
01 01 01	აჭარის მუნიციპალიტეტის საკრებულო	238.50	249.00	0.00	249.00	246.80	0.00	246.80	99.12
	მომუშავეთა რიცხოვნობა	11	11	0	11	11	0	11	100.00
	ხარჯები	238.50	249.00	0.00	249.00	246.80	0.00	246.80	99.12
	შრომის ანაზღაურება	201.80	206.20	0.00	206.20	205.70	0.00	205.70	99.76
	საქონელი და მომსახურება	36.70	42.80	0.00	42.80	41.10	0.00	41.10	96.03
01 01 02	აჭარის მუნიციპალიტეტის გამგეობა	330.10	366.60	0.00	366.60	353.70	0.00	353.70	96.48
	მომუშავეთა რიცხოვნობა	20	20	0	20	20	0	20	100.00
	ხარჯები	325.40	366.60	0.00	366.60	353.70	0.00	353.70	96.48
	შრომის ანაზღაურება	268.20	296.90	0.00	296.90	291.70	0.00	291.70	98.25
	საქონელი და მომსახურება	55.30	65.70	0.00	65.70	58.00	0.00	58.00	88.28
	სოციალური უზრუნველყოფა	1.80	3.90	0.00	3.90	3.90	0.00	3.90	100.00
	სხვა ხარჯები	0.10	0.10	0.00	0.10	0.10	0.00	0.10	100.00
	არაფინანსური აქტივების ზრდა	4.70	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
	ძირითადი აქტივები	4.70	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00

01 01 03	ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა	28.80	31.20	30.00	1.20	31.20	30.00	1.20	100.00
	მომუშავეთა რიცხოვნობა	2		2	2	2	2	0	100.00
	ხარჯები	28.80	31.20	30.00	1.20	31.20	30.00	1.20	100.00
	შრომის ანაზღაურება	28.80	31.20	30.00	1.20	31.20	30.00	1.20	100.00
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	0.00	0.80	0.00	0.80	0.00	0.00	0.00	0.00
	ხარჯები	0.00	0.80	0.00	0.80	0.00	0.00	0.00	0.00
	სხვა ხარჯები	0.00	0.80	0.00	0.80	0.00	0.00	0.00	0.00
01 02 01	სარეზერვო ფონდი	0.00	0.60	0.00	0.60	0.00	0.00	0.00	0.00
	ხარჯები	0.00	0.60	0.00	0.60	0.00	0.00	0.00	0.00
	სხვა ხარჯები	0.00	0.60	0.00	0.60	0.00	0.00	0.00	0.00
01 02 02	წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებებისა და სასამართლო აღსრულების ფონდი	0.00	0.20	0.00	0.20	0.00	0.00	0.00	0.00
	ხარჯები	0.00	0.20	0.00	0.20	0.00	0.00	0.00	0.00
	სხვა ხარჯები	0.00	0.20	0.00	0.20	0.00	0.00	0.00	0.00

## 2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

საბინაო-კომუნალური მეურნეობის თანადაფინანსება (კეთილმოწყობის ღონისძიებები დევნილთა ჩასახლებაში 03 01)

აჭარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტით საბინაო-კომუნალური მეურნეობის თანადაფინანსებაში ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 6000 ლარი, ბიუჯეტის დაზუსტებისას, მოხდა აღნიშნული თანხის გადატანა სოციალურ პროგრამაში, ვინაიდან ნოემბრის თვემდე განაცხადები მსგავს თანადაფინანსებაზე არ იყო შემოსული.

ამ პროგრამით თანხების ხარჯვა 2021წელს არ ყოფილა.

## 3. განათლება (პროგრამული კოდი 03 00)

ეს პროგრამა დაფინანსდა 36,6 ათასი ლარით, გეგმით გათვალისწინებული -37,0ათ.ლარით. ეს თანხა მიიღო მთლიანად სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებმა -ა(ა)იპ აჭარის საბავშვო ბაღმა (პროგრამული კოდი 03 01)ხარჯებმა შეადგინა – 36,6 ათასი ლარი .

ამ პროგრამით მოხდა ა.ი.პ. „აჭარის საბავშვო ბაღის“ იმ თანამშრომლების დაფინანსება, რომლებიც მუშაობენ სოფ.წინწყაროს საბავშვო ბაღში. დასაქმებულია 6 ადამიანი. ზემო აფხაზეთიდან დევნილი ბავშვების რაოდენობა ამ ბაღში , პროცენტულად შეადგენს მთლიანი ბავშვების რაოდენობის 35 %-ს.

სამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „აჭარის საბავშვო ბაღი“-ს 2021 წლის მთლიანი სუბსიდია 2020 წლის 31დეკემბრის N03 სუბსიდირების შესახებ ხელშეკრულების მიხედვით შეადგენდა 37000 (ოცდაჩვიდმეტიათასი ლარი თეთრი) ლარს.

ხოლო, დაზუსტებული სუბსიდირების შესახებ ხელშეკრულების (2021 წლის 28 დეკემბრის N03/1 შეთანხმების აქტის საფუძველზე) 2021 წელს ფაქტობრივად გახარჯულ თანხაზე განისაზღვრა **36 600 (ოცდათექვსმეტიათას ექვსასი ლარი 00 თეთრი) ლარით.**

ცხრილი #9

ორგ.კოდი	დასახელება	2020წლის ფაქტი	2021წლის გეგმა			2021წლის ხარჯი			საკასო შესრულების % დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
03 00	განათლება	31.10	37.00	0.00	37.00	36.60	0.00	36.60	98.92
	ხარჯები	31.10	37.00	0.00	37.00	36.60	0.00	36.60	98.92
	სუბსიდიები	31.10	37.00	0.00	37.00	36.60	0.00	36.60	98.92
03 01	სკოლამდელი განათლება	31.10	37.00	0.00	37.00	36.60	0.00	36.60	98.92
	ხარჯები	31.10	37.00	0.00	37.00	36.60	0.00	36.60	98.92
	სუბსიდიები	31.10	37.00	0.00	37.00	36.60	0.00	36.60	98.92

აღნიშნული თანხა 2021 წელს გახარჯულია შემდეგნაირად:

- შტატით მომუშავეთა ანაზღაურება - 6600 (ექვსიათას ექვსასი ლარი 00 თეთრი) ლარი;
- შტატგარეშეთა ანაზღაურება - 29400 (ოცდაცხრაათას ოთხასი ლარი 00 თეთრი) ლარი;
- დაგროვებით საპენსიო ფონდში დამსაქმებლის მიერ გადახდილმა თანხამ 2021 წლის განმავლობაში შეადგინა 600 (ექვსასი) ლარი;
- საბანკო ხარჯმა 2021 წელს სრულად შეადგინა - 5.50 (ხუთი ლარი 50 თეთრი) ლარი.

2021 წლის 01 იანვრის მდგომარეობით საწყისი ნაშთი შეადგენდა 40,48 (ორმოცი ლარი 48 თეთრი) ლარს;

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ა(ა)იპ „აჟარის საბავშვო ბაღის“ საბოლოო ნაშთი გახლდათ 34.98 (ოცდაოთხმეტი ლარი 98 თეთრი) ლარი.

**შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

- საბავშვო ბაღში მიმდინარე რეფორმის მიმართ დადებითად განწყობილ მშობელთა რაოდენობა;
- მოზარდთა რაოდენობა , რომელთაც ისარგებლეს მომსახურებით.
- საბავშვო ბაღში მომუშავე 6 დევნილი პედაგოგის დასაქმება და მათზე გაწეული ხარჯი ;

**შუალედური შედეგები:**

- საბავშვო ბაღში გაუმჯობესებული სააღმზრდელო პროცესი;
  - საბავშვო ბაღში დასაქმებულთა მოტივაზიის გაზრდა;
  - საბავშვო ბაღში მიმდინარე რეფორმის მიმართ დადებითად განწყობილ მშობელთა რაოდენობა;
  - 50-მდე მოზარდი , რომელთაც ისარგებლეს მომსახურებით.
  - საბავშვო ბაღში მომუშავე 6 დევნილი პედაგოგის დასაქმება და მათზე გაწეული ხარჯი -36,ნათ.ლარი.
- სტრუქტურის შენარჩუნება აფხაზეთში დაბრუნებამდე

**საბოლოო შედეგები:**

ბავშვების განვითარებაზე (აღზრდა-განათლება) ორიენტაცია, თემატურ მიმართულებებზე მუშაობა, მათ შორის: ხელოვნების და წიგნიერებისადმი სიყვარულის დანერგვა. ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება ადრეულ ასაკში.

**4. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი(პროგრამული კოდი 04 00)**

აჭარის (ზემო აფხაზეთის)მუნიციპალიტეტის 2021 წლის კულტურული და სპორტული ღონისძიებების პროგრამების დამტკიცების შესახებ, აჭარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 04 დეკემბრის N40 განკარგულების, 2021 წლის ბიუჯეტის მიზნობრივი პროგრამის (ქვეპროგრამის) (პროგ.კოდი 04 00) შესაბამისად 2021 წლის განმავლობაში განხორციელდა შემდეგი სპორტული ღონისძიებები(04 01 01 ) და კულტურული ღონისძიებები (04 02 01):

ცხრილი #10

პროგრამული კოდი	დასახელება	წლიური ბიუჯეტით დამტკიცებული გეგმა	წლიური ბიუჯეტით დაზუსტებული გეგმა	წლიური საკასო შესრულება	საკასო შესრულების % დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	განმარტება იმ პროგრამულ კოდებზე, რომელთა დაზუსტებულ და საკასო მაჩვენებლებს შორის შეუსაბამობა აღემატება 30%
04 00	კულტურა, სპორტი, ახალგაზრდული ღონისძიებები	74050	74050	64992	87.77	
04 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	36600	36600	33400	91.26	
04 01 01	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება	8600	8600	6400	74.42	
1.1	ქვეპროგრამა					
	ძიუდოს ვარჯიში და სხვადასხვა ტურნირებში მონაწილეობის დაფინანსება	1477	677	0	0.00	
1.2	ქვეპროგრამა					

	თავისუფალ ჭიდაობაში ვარჯიში და სხვადასხვა ტურნირებში მონაწილეობის დაფინანსება	2092	2892	2800	96.82	
1.3	ქვეპროგრამა					
	"ტურნირი მაგიდის ჩოგბურთში"	410	410	0	0.00	
1.4	ქვეპროგრამა					
	ზემო აფხაზეთის გარდამავალი თასის გათამაშება და სხვადასხვა ტურნირების დაფინანსება ფეხბურთში	4341	4341	3600	82.93	
1.5	ქვეპროგრამა					
	ლაშქრობა სამშვილდეში	310	310	0	0.00	
04 01 02	ა(ა)იპ აჭარის სპორტსკოლის დაფინანსება	28000	28000	27000	96.43	
1.1	ქვეპროგრამა				0.00	
	ა(ა)იპ აჭარის სპორტსკოლის დაფინანსება	28000	28000	27000	96.43	
04 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	37400	37400	31592	84.47	
04 02 01	კულტურული ღონისძიებების დაფინანსება	11420	11420	6469	56.65	covid-19 პანდემიით გამოწვეული შეზღუდვები
1.1	ქვეპროგრამა					
	"დედაენის დღე"	350	350	0	0.00	
1.2	ქვეპროგრამა					
	"ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღის აღნიშვნა"	2100	2100	0	0.00	
1.3	ქვეპროგრამა					
	"1991-2008წლების მოვლენებისადმი მიძღვნილი ღონისძიებების" დაფინანსება	150	150	150	100.00	
1.4	ქვეპროგრამა					
	"ინტელექტუალურ-შემეცნებითი პროექტი -ერუდიტის" დაფინანსება	2960	2960	2860	96.62	
1.5	ქვეპროგრამა					
	საქართველოს ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატი "ეტალონი-2021" დაფინანსება	3460	3460	3460	100.00	
1.6	ქვეპროგრამა					
	სიმღერისა და ცეკვის სწავლება	400	400	0	0.00	
1.7	ქვეპროგრამა					

	გასართობი ღონისძიება "ცირკი"	1000	1000	0	0.00	
1.8	ქვეპროგრამა					
	გასართობი ღონისძიება "ქუთაისის თეატრი"	1000	1000	0	0.00	
04 02 02	ა(ა)იპ აჟარის(ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის დაფინანსება	26000	26000	25123	96.63	
1.1	ქვეპროგრამა				0.00	
	ა(ა)იპ აჟარის(ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის დაფინანსება	26000	26000	25123	96.63	

1. „აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის 2021 წლის კულტურული და სპორტული ღონისძიებების პროგრამების დამტკიცების შესახებ“ აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის 2020 წლის 4 დეკემბრის N40 განკარგულების, 2021 წლის ბიუჯეტის მიზნობრივი პროგრამის (ქვეპროგრამის) (საბიუჯეტო კოდი 04 01 02 01) შესაბამისად განხორციელდა ქვემოთ აღნიშნული პროგრამა:

მიმდინარე წლის 16 ივლისიდან 26 ივლისის ჩათვლით, ზემოაღნიშნული სპორტსმენები იყვნენ სპორტულ შეკრებაზე გონიოში, სულ 14 პირი, 11 მოსწავლე, 3 თანმხლები პირი.

სატრანსპორტო მომსახურების ხარჯმა შეადგინა 1400 (ათასოთხასი) ლარი ხელშეკრულება N39 გაფორმდა 14 ივლისის ი/მ „დავით თავაძესთან.“

სასტუმროს მომსახურებაზე გაფორმდა ხელშეკრულება N38, 14 ივლისის ი/მ „შაქრო ქოქოლააძესთან“ , მომსახურების ღირებულებამ შეადგინა 14 ადამიანზე 4200 (ოთხათსორასი) ლარი, მომსახურება მოიცავდა სამჯერად კვებას.

სპორტსმენები 10 დღის განმავლობაში მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა სპორტულ აქტივობებში და მწვრთნელი ავარჯიშებდა სრული დატვირთვით ყოველდღიურად, დილა-სადამოს.

ჯამურად პროგრამის ხარჯმა შეადგინა 5600 (ხუთიათასექვსასი) ლარი.

ამასთანავე covid-19 პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების გამო ვერ შესრულდა ჩოგბურთის ტურნირისა და ლაშქრობის ქვეპროგრამები.

სულ სპორტულ ღონისძიებებზე გათვალისწინებული იყო 8630ლარი, გაიხარჯა 5600ლარი, გეგმა შესრულდა 65%-ით.

#### **ა(ა)იპ „აჟარის სპორტ-სკოლა“ (ორგ. კოდი 04 01 02)**

ა(ა)იპ „აჟარის სპორტ-სკოლის“ ორგანიზებით ტარდება სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებები. სპორტ-სკოლაში ხორციელდება ზემო აფხაზეთიდან დევნილი მოსწავლე-ახალგაზრდების წვრთნა რამდენიმე სახის სპორტულ სახეობაში, კერძოდ, მაგიდის ჩოგბურთი, თავისუფალი ჭიდაობა, ძიუდო და ფეხბურთში, რომლის საშუალებითაც ახალგაზრდები ჯანსაღი ცხოვრების წესს ეუფლებიან. 2021 წლის განმავლობაში, ა(ა)იპ „აჟარის სპორტ-სკოლი“-სთვის სუბსიდირების წესით გათვალისწინებული იყო 28000 ლარის ჩარიცხვა, სკოლაში დასაქმებულია 5 პედაგოგი, ხოლო გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 27000 ლარი, რაც მთლიანად გაიხარჯა ხელფასებზე მოქმედი სპორტსკოლის კოლექტივისათვის.

**აჟარის სპორტ-სკოლის აღსაზრდელების მონაწილეობით თავისუფალ ჭიდაობაში გამართული ღონისძიებები 1-ლი კვარტლის მანძილზე:**

- 2021 წლის 25 მარტს სადახლოში ჩატარდა მეგობრული შეხვედრა 6 გუნდს შორის მარნეულის, სადახლოს, წინწყაროს, შულავერის, თეთრიწყაროს გუნდებს შორის, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ, 2004-2005 წლებში დაბადებული სპორტსმენები.  
ჩატარებულ შეხვედრაში, 42 კგ. წონით კატეგორიაში პირველი ადგილი დაიკავა აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტიდან დევნილმა ლუკა გურჩიანმა, ხოლო მესამე ადგილი 38 კგ. წონით კატეგორიაში ასევე ჩვენი სპორტ-სკოლის სპორტსმენმა- გიორგი ქოჩქიანმა და მონაწილეები დაჯილდოვდნენ შესაბამისი საპრიზო მედლებით.

**ა(ა)იპ „აჟარის სპორტ-სკოლ“-ის საფეხბურთო გუნდ „კოდორი“-ს მონაწილეობით მარტის თვეში შედგა მეგობრული შეხვედრები:**

- 20 მარტი: „კოდორი“ - „ომც“- ანგარიში 3:2;
- 21 მარტი: „ავაზა 2005“- „კოდორი“- ანგარიში : 2:2;
- 27 მარტი: „სანჯონის ლოკომოტივი“- „კოდორი“- ანგარიში : 3:3;
- 28 მარტი „კოდორი“- „გრანდი“- ანგარიში- 1:2.

**აჟარის სპორტ-სკოლის აღსაზრდელების მონაწილეობით თავისუფალ ჭიდაობაში გამართული ღონისძიებები II კვარტლის მანძილზე:**

- 2021 წლის 18-19-20 აპრილს ხაშური საქართველოს ჩემპიონატში მონაწილეობა მიიღო ლუკა გურჩიანმა- 61 კილოგრამ წონაში, რომელიც საკმაოდ ნაყოფიერი ტურნირი გამოდგა.
- მიმდინარე წლის 9 -10 მაისს საქართველოს აზერბაიჯანელ სპორტსმენთა კავშირში, გაიმართა „დიდი ლიდერი ჰეიდარ ალიევის სახელობის ქვემო ქართლის მეგობრული ტურნირი“ თავისუფალ ჭიდაობაში. მონაწილეობა მიიღეს ზემო აფხაზეთის სპორტ-სკოლის გუნდი კოდორის მონაწილეებმა, სადაც ლუკა გურჩიანმა 61 კგ წონაში, დაიკავა მე-3 ადგილი.
- მიმდინარე წლის 24, 25, 26 ივნისს ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, სტეფანწმინდის სპორტკომპლექსში ( ალექსანდრე ყაზბეგის 57) ა(ა)იპ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის განათლების კულტურისა და სპორტის განვითარების ცენტრის ორგანიზებით გაიმართა „ტარიელ ალიბეგაშვილის სახელობის ღია ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში“ 2004-2005-2006 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის, რომელიც მიზნად ისახავდა რეგიონში თავისუფალი სტილით ჭიდაობის პოპულარიზაციას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვის ხელშეწყობასა და სპორტსმენთა შორის მეგობრული ურთიერთობის გაღრმავებას.

გუნდების სასტუმროსა და კვების მომსახურება უზრუნველყო მომავლინებელმა ორგანიზაციამ, ტრასპორტირება კი „თავისუფალი ჭიდაობა“-ს პროგრამის ფარგლებში-(წინწყარო-სტეფანწმინდა-წინწყარო) აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტმა, რომლის ღირებულებამ შეადგინა 800 ლარი.

ღონისძიება ჩატარდა სამთავრობო უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს და დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის რეკომენდაციების სრული დაცვით.

ზემოთნახსენებ ღონისძიებაში სპორტ-სკოლის სახელით მონაწილეობა მიიღეს ჭაბუკმა სპორტსმენებმა თანმხლებ პირებთან ერთად, კერძოდ:

1. ლუკა გურჩიანმა (მურადის ძე)- 2005წ.-61კგ;
2. ლუკა გურჩიანმა (ოთარის ძე) 2007- 48 კგ.

მიუხედავად იმისა, რომ სპორტ-სკოლის მონაწილეების მიერ ვერ იქნა აღებული საპრიზო ადგილები, სპორტსმენებმა მონდომებით იასპარეზეს, ამასთანავე ის მიზანი, რასაც აღნიშნული ტურნირი ითვალისწინებდა: სპორტსმენების დაახლოებას, თავისუფალი ჭიდაობის პოპულარიზაციას, სრულიად მიღწეულ იქნა.

**ა(ა)იპ „აჟარის სპორტ-სკოლის“ ღონისძიება „მიუდო“**



ძიუდოს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი ლევან ნოზაძე 2021 წლის პირველი ორი კვარტლის განმავლობაში, ზემო აფხაზეთიდან დევნილ, აჭარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ბავშვებს წვრთნიდა ძიუდოში სრული დატვირთვით. ქვეყანაში არსებული covid-19 პანდემიით გამოწვეული შეზღუდვებიდან გამომდინარე, ამ პერიოდში შეზღუდული იყო ტურნირების ჩატარება (ვინაიდან ტურნირები დახურულ სივრცეში იმართება). თუმცა, მიუხედავად პანდემისა, ბავშვები სტაბილურად დადიოდნენ ვარჯიშებზე და რეგულაციების მაქსიმალური დაცვით უტარდებოდათ წვრთნები.

როგორც მოგეხსენებათ, მიმდინარე წლის 21 ივლისიდან კოვიდ-19-ის პანდემიის გამო, აკრძალულ იქნა ბანაკური შეკრებების ორგანიზება და სპორტული ღონისძიებების ჩატარება პისიარ ტესტის ჩაბარების გარეშე. რამაც გამოიწვია სპორტული პროგრამა „სტუდენტების ლაშქრობა“-ს არ განხორციელება, რომელიც თბილისიდან სამშვილდეში ორდღიან ლაშქრობას ითვალისწინებდა კარვებით და რომლის საერთო ღირებულებას უნდა შეედგინა 310 (სამასათი) ლარი. ასევე, მიმდინარე წელს არ შეგვისყიდა სპორტსმენთათვის განკუთვნილი ფორმები თუ ინვენტარი, რადგან არასტაბილური და არაპროგნოზირებადი ვითარების გამო ამის აუცილებლობა სამწუხაროდ არ დამდგარა, რადგან ძალიან ბევრი სპორტული ღონისძიება უბრალოდ ქვეყნის და რეგიონის მასშტაბით არ განხორციელებულა, რომელში მონაწილეობაც გახლდათ გათვალისწინებული.

➤ მოკლედ მოგახსენებთ, მე-4 კვარტალში აჭარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი „კოდორი“-ს 2021 წლის ოქტომბერ-ნოემბერ-დეკემბერში გამართული თამაშების ჩამონათვალს:

- ✓ 03 ოქტომბერი: „კოდორი“- „ავაზა“ 2:1;
- ✓ 04 ოქტომბერი: „კოდორი“- „თ.ს.ა“ 1:1;
- ✓ 10 ოქტომბერი: „კოდორი“- „ირაო“ 1:0;
- ✓ 12 ოქტომბერი: „კოდორი“- „იმედი“ 2:0;
- ✓ 12 ოქტომბერი: „დინამოს აკადემია“- „კოდორი“ 2:2;
- ✓ 18 ოქტომბერი: „კოდორი“- „შევარდენი“ 3:3;
- ✓ 19 ოქტომბერი: „კოდორი“- „ავაზა“ 1:1;
- ✓ 25 ოქტომბერი: „კოდორი“- „მთვარის გლობუსი“ 2:1;
- ✓ 26 ოქტომბერი: „სპაერი“- „კოდორი“ 2:1;
- ✓ 04 ნოემბერი: „კოდორი“- „კასპი“ 1:0;
- ✓ 04 ნოემბერი: „შევარდენი“- „კოდორი“ 3:1.

ნოემბრის თვეში ჩატარდა „გურამ გაბისკირიას ხსოვნის ტურნირი“, სადაც მონაწილეობდა გუნდი „აფხაზეთი“, რომელშიც თამაშობდნენ „კოდორი“-ს გუნდის ფეხბურთელები, ეს ტურნირი ორი კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა 35-ე სკოლის სტადიონზე.

**მოკლედ მოგახსენებთ თავისუფალ ჭიდაობაში მე-4 კვარტლის განმავლობაში განხორციელებული ღონისძიებების და შეხვედრების შესახებ:**

➤ მსოფლიო ჩემპიონატის „ზარიბეგ ბერიაშვილის სახელობის ღია ტურნირზე“ თავისუფალ ჭიდაობაში უმცროსი ასაკის ბავშვებს შორის, რომელიც ჩატარდა ქ. თბილისში გლდანის ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნულ ცენტრში 2021 წლის 20-21 ნოემბერს, მონაწილეობა მიიღეს ზემო აფხაზეთის სპორტ-სკოლის გუნდი კოდორის მონაწილეებმა:

1. ლუკა გურჩიანმა- 61 კგ. წონაში (03.03.2005წ);
2. გურჩიანი ლუკამ- 55 კგ. წონაში (22.09.2007წ).

➤ „ამირან მაისურაძისა და შოთა კიკაბიძის სახელობის ტურნირი“ თავისუფალ ჭიდაობაში 2004-2005 წწ. ჭაბუკთა შორის შეჯიბრი ჩატარდა ქ. თბილისში 2021წ. 5-7 ნოემბერს. მონაწილეობა მიიღო:

1. ლუკა გურჩიანმა - 2005წ.-61კგ. წონაში.

**სპორტსმენები, რომლებიც გადიოდნენ წვრთნას და მომზადებას მიუდოში, ფლობენ მიუდოს მეტ ტექნიკებს, მათი ფიზიკური ფორმა და განვითარება მეტად პროგრესირებადი გახდა და სპორტულმა მოტივაციამ იმატა თითოეულ მათგანში.**

მიუდოში 2021 წლის დეკემბერში, ბოლნისში ჩატარდა რესპუბლიკური ტურნირი, სადაც მონაწილეობა მიიღეს გიორგი გერლიანმა და ლუკა ქალდანმა. გიორგი გერლიანმა მესამე ადგილი.

**კულტურულ ღონისძიებებში (040201) განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:**

1. „აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის 2021 წლის კულტურული და სპორტული ღონისძიებების პროგრამების დამტკიცების შესახებ“ აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის 2020 წლის 4 დეკემბრის №39 განკარგულებით დამტკიცებული პროგრამის - „ინტელექტუალური-შემეცნებითი პროექტი ერუდიტი“-ს ფარგლებში, პროგრამით გათვალისწინებული ინტელექტუალურ-შემეცნებითი პროექტი „ერუდიტი“-ს შესარჩევი ტური ჩატარდა სამ ეტაპად, სადაც მონაწილეობა მიიღეს ზემო აფხაზეთიდან დევნილმა მოზარდებმა. პირველი ეტაპი ჩატარდა 27 მარტს, ქ. თბილისში, მეორე ეტაპი - 24 აპრილს ქ. ქუთაისში, ხოლო მესამე ეტაპი - 06 მაისს ქვემო ქართლში. ზემო აღნიშნული სამი შესარჩევი ტურიდან მოხდა 5-5 ყველაზე მაღალი ქულის მქონე მოსწავლის გამოვლენა, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს 2021 წლის 16 ივნისს ქ. თბილისში ჩატარებულ ფინალურ ტურში. პროექტის მიზანი იყო ინტელექტუალური დონის ამაღლება სკოლის მოსწავლეებს შორის, მოსწავლე-ახალგაზრდობის განათლებით დაინტერესება და მათი მოტივირება ამ კუთხით. შესარჩევი ტურისა და ფინალის კითხვარი შედგებოდა 30 დახურული კითხვისაგან. აღნიშნული პროექტის ორგანიზებას და მეთვალყურეობას უწევდნენ, მუნიციპალიტეტის და ზემო აფხაზეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრის თანამშრომლები, ა(ა)იპ აჟარის კულტურის ცენტრის პედაგოგები.

პროგრამის ფარგლებში გაფორმდა ქვემოთ მითითებული ხელშეკრულებები:

მიმდინარე წლის 14 ივნისს, შ.პ.ს. „ალტა რითეილთან“-თან ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც შემსყიდველი მხარისთვის მოხდა გადაცემა 1300 (ათასსამასი ლარი 00 თეთრი) ლარის ღირებულების სასაჩუქრე ბარათების.

მიმდინარე წლის 15 ივნისს, შ.პ.ს. „ბიბლუს“-თან გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც შემსყიდველი მხარისთვის მოხდა გადაცემა 900 (ცხრასი) ლარის ღირებულების სასაჩუქრე ბარათების.

საკანცელარიო ხარჯი-10ლარი, წყალი -10ლარი.

ერუდიტის ფინალი ჩატარდა თბილისში 16 ივნისს, სადაც მონაწილეობას იღებდა 15 ფინალისტი:

- გურჩიანი საბა (თბილისი);
- წიკლაური ირაკლი (თბილისი);
- გერლიანი ნია (თბილისი);
- კვერკველია დემეტრე(თბილისი);
- წიფიანი საბა (თბილისი);
- გერლიანი ლიზი (ქუთაისი);
- გურჩიანი თამარ (ქუთაისი);
- გერლიანი ნანა (ქუთაისი);
- გერლიანი ანა (ქუთაისი);
- ბიგვავა მარიამ (ქუთაისი);
- გურჩიანი თამარ (წინწყარო);
- არჯანია ლიზი (წინწყარო);
- გულბანი მონიკა (წინწყარო);
- ცალანი ბეთქილ (წინწყარო);
- ჯაჭვლიანი ნიკოლოზ (წინწყარო).

აქედან, საპრიზო ადგილები შემდეგნაირად გადანაწილდა:

1. გერლიანი ანა- 23 ქულა;
2. გურჩიანი თამარ- 18 ქულა;

### 3. გერლიანი ლიზი- 17 ქულა

მესამე საპრიზო ადგილზე გადასული ორი მოსწავლედან, რომლებმაც დააგროვეს ერთნაირი ქულები: 17 -17 ქულა, დამატებითი რაუნდის საფუძველზე მიიღეს შემდეგი შეფასება:

1. გერლიანი ლიზი 17 + 3;

2. გურჩიანი საბა 17 + 1;

კულტურული ღონისძიებების პროგრამიდან გაწეული ხარჯების შესაბამისად, შ.პ.ს „ალტა“-სგან შეძენილი 1300 ლარის ღირებულების სასაჩუქრე ბარათებით (ვაუჩერები) დასაჩუქრებულ იქნენ საპრიზო ადგილებზე გასული ერუდიტის ფინალისტები:

1. 500 ლარიანი ვაუჩერით პირველ ადგილზე გასული ერუდიტის გამარჯვებული გერლიანი ანა;
2. 450 ლარიანი ვაუჩერით მეორე ადგილზე გასული: გურჩიანი თამარ;
3. 350 ლარიანი ვაუჩერით მესამე ადგილზე გასული: გერლიანი ლიზი.

ასევე დანარჩენ 12 ფინალისტს გადაეცათ შ.პ.ს „ბიბლუსი“-სგან შეძენილი 900 ლარის ღირებულების სასაჩუქრე ბარათები (ვაუჩერები).

ტრანსპორტირების ხარჯმა შეადგინა 600 ლარი, კერძოდ:

- 2021 წლის 16 ივნისს ფინალურ ტურში მონაწილე ბავშვების გადაყვანა თანმხლებ პირებთან ერთად შემდეგი მიმართულებით: ქუთაისი-თბილისი-ქუთაისი - 400 ლარი;
- 2021 წლის 16 ივნისს ფინალურ ტურში მონაწილე ბავშვების გადაყვანა თანმხლებ პირებთან ერთად შემდეგი მიმართულებით: წინწყარო-თბილისი-წინწყარო 200 ლარი.

პროექტისთვის მთლიანად დაიხარჯა 2859.4 (ორიათას რვაას ორმოცდაცხრამეტი ლარი და 40 თეთრი) ლარი.

2. ჩვენმა სამსახურმა ასევე განახორციელა ქვემოთ აღნიშნული პროგრამა, „აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის 2021 წლის კულტურული და სპორტული ღონისძიებების პროგრამების დამტკიცების შესახებ“ აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის 2020 წლის 4 დეკემბერი №39 განკარგულების, 2021 წლის ბიუჯეტის მიზნობრივი პროგრამის (ქვეპროგრამის) მე-10 პუნქტის (საბიუჯეტო კოდი 050201) 1.3 ქვეპუნქტით დამტკიცებული პროგრამის „1993-2008 წლების საომარი მოვლენებისადმი მიძღვნილი აქციის“ ფარგლებში ჩატარებული ღონისძიების შესახებ. ზემოაღნიშნული განკარგულებით დამტკიცებული პროგრამის (1993-2008 წლების საომარი მოვლენებისადმი მიძღვნილი აქცია) ფარგლებში, მიმდინარე წლის, 16 მარტს, 8 აგვისტოს, 27 სექტემბერს, აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის თანამშრომლებმა გმირთა მემორიალი (ქ. თბილისი, გმირთა მოედანი და მუხათგვერდის მმთა სასაფლაო) ყვავილების თაიგულით შეამკვეს და დაღუპული გმირების ხსოვნას პატივი მიაგეს.

ზემო აღნიშნული ყვავილების თაიგულის შესამენად, შპს „ქრიზანთემას“ დირექტორთან თამარ ლაფაჩთან .

ჯამურად პროგრამის ხარჯმა შეადგინა 150 ლარი;

3. 2021 წლის 07 ივლისის აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტსა და შპს „ეტალონი-მედიას“ შორის გაფორმებული ხელშეკრულება #34-ის – საქართველოს ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატ „ეტალონის“ დისტანციურ რეჟიმში ჩატარების საფუძველზე საქართველოს ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატ „ეტალონი 2021“-ს დისტანციური კონკურსის ფარგლებში „აჟარის (ზემო აფხაზეთის) ეტალონი მოსწავლის“ გამოსავლენი ინტელექტუალური კონკურსის ღონისძიების ორგანიზების მომსახურება გაწეულ იქნა ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, **2960 (ორიათასცხრასასამოცი)** ლარის ღირებულების.

საქართველოს ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატის „ეტალონი“ დისტანციური კონკურსი აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის სკოლების მოსწავლეთათვის გაიმართა 2 ეტაპად: პირველი ეტაპი - 2021 წლის 09 ივლისს, ხოლო მეორე ეტაპი - 2021 წლის 13 ივლისს. კონკურსის პირველ ეტაპში მონაწილეობა 13 სკოლის მე-8, მე-9, მე-10 და მე-11 კლასელმა მოსწავლეებმა მიიღეს. ჯამში კონკურსში 16 აჟარელი მოსწავლე ჩაერთო შემდეგი კლასობრივი განაწილებით: მე-8 კლასი 2 მოსწავლე, მე-9 კლასი 10 მოსწავლე, მე-10 კლასი 3 მოსწავლე და მე-11 კლასი 1 მოსწავლე. კონკურსის პირველი ეტაპის შედეგებით შეირჩნენ მეორე ეტაპზე გადამსვლელი მოსწავლეები, რომელთა შორის გამოვლინდა 2021 წლის „აჟარის (ზემო აფხაზეთის) ეტალონი მოსწავლე“. მეორე ეტაპში

მონაწილეობდა 11 სკოლის 13 მოსწავლე შემდეგი კლასობრივი განაწილებით: მე-8 კლასი 2 მოსწავლე, მე-9 კლასი 7 მოსწავლე, მე-10 კლასი 3 მოსწავლე და მე-11 კლასი 1 მოსწავლე.

კონკურსის გამარჯვებული გახდა და „აჟარის (ზემო აფხაზეთის) ეტალონი მოსწავლის“ ტიტული მიენიჭა კერძო სკოლა „ოპიზას“ მე-9 კლასის მოსწავლე ირინა დევდარიანს. კონკურსის პირველი ეტაპის ყველა მონაწილეს გადაეცა ონლაინ სიგელი, ხოლო მეორე ეტაპის მონაწილეს ოქროს სიგელი, მათ შორის, აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის მიერ კულტურული ღონისძიების ფარგლებში შ.პ.ს „ალტა რითეილი“-სგან შეძენილი 500 (ხუთასი) ლარის ღირებულების ტექნიკის ვაუჩერი. გამარჯვებული და მომდევნო ორი ადგილის მფლობელები კი დაჯილდოვდნენ ონლაინ დიპლომებით. ყველა აღნიშნულ სიგელსა თუ დიპლომზე ვიზუალურად დატანილი იყო აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის გერბი. კონკურსის მიმდინარეობის ყველა ეტაპზე აჟარის მუნიციპალიტეტის შესაბამის წარმომადგენელს მინიჭებული ჰქონდა სისტემური წვდომა სპეციალურ პორტალზე, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იყო თვალი ედევნებინა კონკურსისათვის.

**ვერ განხორციელდა შემდეგი პროგრამები:**

4. 2021 წლის კულტურული პროგრამა „დედაენის დღე“, რომელიც 14 აპრილს იყო დაგეგმილი და რომლის ღირებულება შეადგენდა 350 ლარს, პანდემიის გამო არ ჩატარებულა და თანხა არ გახარჯულა.
5. 2021 წლის კულტურული პროგრამა „ცირკი“, რომელიც 100 დევნილი მოსწავლის ცირკში დასასწრები ბილეთების შესაძენად ითვალისწინებდა 1000 ლარის ღირებულების ხარჯს, კოვიდ 19-ის გავრცელების საშიშროების თავიდან აცილების გამო ასევე არ განხორციელებულა.
6. 2021 წლის 1 ივნისს კულტურული პროგრამის ფარგლებში ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად, რომელიც დაგეგმილი იყო „მთაწმინდის პარკი“-ში, არ განხორციელდა, რადგან პანდემიის გამო მუნიციპალიტეტის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება პროგრამის მიმდინარე წელს არ ჩატარებაზე, ბავშვთა ჯანმრთელობის უსაფრთხოებისათვის, შესაბამისად, „მთაწმინდის პარკი“-ს პროგრამისთვის გაწერილი თანხა 2100 ლარი არ დახარჯულა.
7. „ქუთაისის მოსწავლე ახალგაზრდობის თეატრი“ -100 მოსწავლეზე გათვლილი, 1000 (ერთიათასი) ლარის ღირებულების, პანდემიის შეზღუდვების გამო ვერ განხორციელდა.

**ა(ა)იპ „აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის აჟარის კულტურის ცენტრი“(პრ. კოდი 04 02 02)**

აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის 2021 წლის კულტურული და სპორტული ღონისძიებების პროგრამების დამტკიცების შესახებ“ აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის 2020 წლის 04 დეკემბერის №40 განკარგულების, 2021 წლის ბიუჯეტის მიზნობრივი პროგრამის (ქვეპროგრამის) (საბიუჯეტო კოდი 04 02 02 01) შესაბამისად პანდემიის მიუხედავად მაქსიმალურად შემართებით დავიწყეთ კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, კერძოდ:

- 2021 წლის 1-ლი თებერვლიდან განახლდა აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის სასკოლო ასაკის მოსწავლეთათვის სიმღერის შესწავლა, 2021 წლის I კვარტალში 15 მარტამდე ფოლკლორის ეროვნული სკოლა პანდემიასთან დაკავშირებით გადასული იყო ონლაინ სწავლების რეჟიმზე, ამ დროის მანძილზე კვირაში ორჯერ ორშაბათსა და ხუთშაბათს 19.30 სთ. ხდებოდა ონლაინ ჩართვა ზემო აფხაზეთიდან დევნილ მოსწავლეებთან. სწავლება ხორციელდებოდა წარმატებით, რადგან შესწავლილ იქნა 10 სხვადასხვა კუთხის სიმღერა. სიმღერის ონლაინ გაკვეთილებს მიმდინარე წლის I კვარტალში ესწრებოდა 14 მოსწავლე;
- ასევე 2021 წლის 1-ლი თებერვლიდან ასევე ონლაინ რეჟიმში, ხოლო მოგვიანებით უკვე დარბაზში განახლდა მეცადინეობა აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის დევნილი მოსახლეობის მოსწავლეთათვის, რომლებიც თეთრიწყაროს რ-ნი ს. წინწაროში არიან ჩასახლებული ცეკვის სწავლება, თავდაპირველად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულმა პირმა-ცეკვის მასწავლებელმა მეცადინეობა განახლა ცეკვების გამეორებით, ამასთანავე დაწყებულ იქნა ახალი ცეკვების ილეთების შესწავლა „ჯუთა“-სთვის და ცეკვა „სვანური“-სთვის, თებერვლის თვისთვის მეცადინეობებს ესწრებოდა 15 მოსწავლე, მარტის თვეში კი 22 მოსწავლე სრულად;
- კულტურის ცენტრის „სიმღერის სწავლება“ მეორე კვარტლიდან დაუბრუნდა სრულფასოვანი სწავლების რეჟიმს და სიამაყით მინდა გაცნობოთ, ჩვენი მუნიციპალიტეტის ბავშვების გულწრფელი და სიყვარულით

სავსე დამოკიდებულება ქართული ხალხური სიმღერის შესწავლისადმი. მეცადინეობა ტარდებოდა მუდმივად მაქსიმალური დასწრებით. შეისწავლეს საქართველოს რვა სხვადასხვა კუთხის სიმღერა. მღერიან ხმებში და იმსახურებენ მაღალ შეფასებას. 24 ივნისს ჩატარებულ იქნა შემაჯამებელი ღია გაკვეთილი. სექტემბრიდან განახლდა მეცადინეობა.

- 2021წლის განმავლობაში „ცეკვის სწავლება“ მიმდინარეობდა ხელშეკრულებით განსაზღვრული გრაფიკის შესაბამისად უწყვეტად. დასწრება იყო სრული, ბავშვები მუდმივად იღებდნენ მონაწილეობას ცეკვის გაკვეთილებში. ამ პერიოდში გვყავს 23 მოსწავლე. კოვიდ 19-ის პანდემის გამო, სამწუხაროდ ყველანაირი ღონისძიება, რომელშიც გასულ წლებში ჩვენი ცეკვის მოსწავლეები იღებდნენ მონაწილეობას გადადებულ იქნა. ამ პერიოდში შესწავლილ იქნა ცეკვა ლაზური, ჯუთა და ტრანსფორმაცია. აქედან ჯუთა და ლაზური სრულად, ხოლო ტრანსფორმაციის შესწავლა გრძელდება.
- „კოვიდ\_19-ის პანდემიის გამო დაწესებული შეზღუდვების გათვალისწინებით სამწუხაროდ, მიმდინარე წელს როგორც მოგეხსენებათ, ვერ იქნა განხორციელებული გარკვეული კულტურული პროგრამები, რომლებიც გაწერილი გახლდათ, რადგან დიდი რაოდენობით ახალგაზრდების მობილიზებას მოიაზრებდა თითოეული მათგანის განხორციელება.

### **შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

ახალგაზრდა თაობის აქტიურად ჩართვა მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაში, სხვადასხვა შეჯიბრებებზე ნაკრები გუნდის წევრთა მონაწილეობა და საპრიზო ადგილების დაკავება, ახალგაზრდების და მოზარდების აქტიურად ჩართვა სპორტულ და კულტურულ ღონისძიებებში.

ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების გამო, რაც განაპირობა Covid -19-ით გამოწვეულმა პანდემიამ, ვერ ჩატარდა დასახული ღონისძიებები სრულყოფილად;

### **საბოლოო შედეგები:**

-კულტურული და სპორტული ღონისძიებები ძირითადად გათვლილია ზემო აფხაზეთიდან დევნილ მოზარდებში და ახალგაზრდებში კულტურის და ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაციისთვის;

-ახალგაზრდა თაობის და მათი მშობლების აქტიურად ჩართვა მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაში სხვადასხვა შეჯიბრებებზე ნაკრები გუნდის წევრთა მონაწილეობა და საპრიზო ადგილების დაკავება;

-ახალგაზრდების და მოზარდების აქტიურად ჩართვა სპორტულ და კულტურულ ღონისძიებებში.

-სტრუქტურების შენარჩუნება და მათთვის უნარ-ჩვევების გამომუშავება აფხაზეთში დაბრუნებამდე

### **5.მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა(პროგრ.კოდი 05 00)**

ეს პროგრამა ბიუჯეტით ჩაშლილია ქვეპროგრამებად. სოციალური დახმარების წესის შესაბამისად თითოეული ქვეპროგრამა მოიცავს რამდენიმე ღონისძიებას;

მოქალაქეებს დახმარება გაეწიათ შემოსული განცხადებების გათვალისწინებით სამუშაო ჯგუფის დასკვნებისა და გამგებლის ბრძანებების საფუძველზე, გაცემული სოციალური დახმარებები ქვეპროგრამების მიხედვით შემდეგნაირად შესრულდა:

**ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დახმარებები: (05 01 01)**

ჯამურად ბენეფიციართა რაოდენობა 309 - გაცემულმა თანხამ შეადგინა 94297 ლარი და 39 თეთრი.

**ხანდაზმულთა სოციალური დაცვა: (05 01 02)**

ჯამურად ბენეფიციართა რაოდენობა 195- გაცემულმა თანხამ შეადგინა 39000 ლარი და 00 თეთრი.

**ოჯახების და ბავშვების სოციალური დაცვა: (05 01 03)**

ჯამურად ბენეფიციართა რაოდენობა 250 - გაცემულმა თანხამ შეადგინა 50971 ლარი და 75 თეთრი.

**ომში დაღუპულ და უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა ოჯახების სოციალური დაცვა: (05 01 04)**

ომში დაღუპულ და უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა ოჯახების დახმარება: 29 ოჯახი - 14500ლარი.

**სოციალური დახმარებები: (05 01 05)**

ჯამურად ბენეფიციართა რაოდენობა 1259 - გაცემულმა თანხამ შეადგინა 183279 ლარი და 50 თეთრი.

**დევენილი ოჯახებისთვის დაკრძალვის ხარჯების ნაწილობრივი ანაზღაურება: (06 01 06)**

დაკრძალვის ხარჯების ნაწილობრივ ანაზღაურება: 46 მოქალაქეზე -23000 ლარი;

**სულ მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა(პროგრ.კოდი 05 00)** პროგრამით სოციალური დახმარება მიიღო 611დევენილმა პირმა, დახმარების თანხამ შეადგინა 171694ლარი და 1476 ოჯახმა მიიღო-233355ლარის დახმარება. გაცემული დახმარებების ჯამური თანხა შეადგენს 405048ლარს, გეგმით გათვალისწინებული იყო-411400ლარი, შესრულებამ შეადგინა -კი 98,2%.

**შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

მთავარ ინდიკატორად 2021 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული იყო მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამების მეშვეობით მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეებისა და ოჯახებისადმი გაწეული დახმარებების რაოდენობა, როგორც ოჯახებისა და ბენეფიციარების ოდენობით ისე თანხობრივად.

საბოლოო შედეგი (OUTCOME)	2020 საბაზისო მაჩვენებელი	2021 დადგეგმილი მაჩვენებელი	2021 მიღწეული მაჩვენებელი	ცთომი ლება2021 წლის გეგმა/ფაქტი	ცთომი ლების განმარტება
ბიუჯეტში გაწერილი და დაფინანსებული ქვეპროგრამების რაოდენობა	30	30	30	0	
სოციალური სერვისების მიმღებ ბენეფიციართა რაოდენობა	2471	2010	2087	77	თანხების დამატება პროგრამაზე(დაზუსტებული ბიუჯეტი)

სოციალური უზრუნველყოფის პროგრამაში ჩართული მოსახლეობის კმაყოფილების ინდექსი (%)	95	95	95	95	
<b>შუალედური შედეგი (OUTPUT)</b>	<b>2020</b> საბაზისო მაჩვენებელი	<b>2021</b> დადგენილი მაჩვენებელი	<b>2021</b> მიღწეული მაჩვენებელი	<b>ცთომი</b> <b>ლება</b> <b>ლარში</b>	<b>ცთომი</b> <b>ლის</b> <b>განმარტება</b>
ოპერაციების თანადაფინანსება	18055	20000	19191	809	
ონკოლოგიურად დაავადებულ პირთა ფულადი დახმარება	7550	9000	8635	365	
განსაკუთრებულ პირობებში და გადაუდებელ შემთხვევაში ერთჯერადი ფულადი დახმარების	817	1200	1200	0	
ზემო აფხაზეთიდან დევნილი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ფულადი დახმარება	30800	32300	31600	700	
ზემო აფხაზეთიდან დევნილ, შეზღუდულ პირთათვის „ინვალიდის სავარძლით და ლეიბებით“ დახმარება	762	1500	1340	160	
ზემო აფხაზეთიდან დევნილი, 1992-2004 წლებში საბრძოლო ოპერაციებში დაინვალიდებულ (ხელის, ფეხის ამპუტაცია) მეომრების დახმარება	3000	3000	3000	0	
კორონაროგრაფიის დაფინანსება	1985	2500	2350	150	
მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული მხედველობის დაქვეითება, ცერებრალური	6736	7000	6486	514	
მაგნიტო-რეზონანსული და კომპიუტერული ტომოგრაფია ტომოგრაფია	14378	20500	20495	5	
ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	26100	23600	23600	0	
მარტოხელა მენსიონერების სოციალური დაცვა	16400	15400	15400	0	
მარჩენალდაკარგულ პირთა (0-დან 18 წლამდე) ფულადი დახმარება	4600	3900	3800	100	
ახალშობილთა ბავშვების დაბად. ოჯახების ფულადი დახმარება	6000	6000	5800	200	
მრავალშვილიანი ოჯახების ფულადი დახმარება	30900	31100	31100	0	
მარტოხელა მშობლის ფულადი დახმარება	2000	2200	2200	0	
პირველკლასელი ბავშვების სასკოლო ჩანთებით დახმარება	3887	3800	3571	229	
დედმამით ობოლი ბავშვების ფულადი დახმარება	3000	4500	4500	0	

ზემო აფხაზეთიდან დევნილი ომში დაღუპულთა ოჯახების ფულადი დახმარება	15000	14500	14500	10	
დევნილი ოჯახებისათვის გაზის გამათბობლით დასახმარებლად	2160	10730	10000	730	
დევნილი ოჯახებისათვის გაზიფიცირებაში დახმარება	400	800	800	0	
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტების დახმარება (სოციალური დახმარების გაცემის წესის თანახმად)	10275	6000	6000	0	
მაგისტრატურის და მასთან გათანაბრებული საუნვერსიტეტო სწავლების მე-2 საფეხურის სტუდენტების დახმარება	23500	20000	19125	875	
წარმატებული სპორტსმენების მატერიალური (ფულადი ჯილდო) დახმარება	0	2000	2000	0	
2005-2022 წლებში დაბადებული დევნილი ბავშვების, ხანდაზმულების, შშმპ, მარტოხელა პენსიონერები, ომში დაღუპილი ოჯახების დახმარება	109231	89870	88355	1515	
სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი დევნილების დახმარება	55000	56000	55600	400	
დევნილი, დაბალშემოსავლიანი რელიგიის მსახურთათვის სოციალური დახმარება	14500	1000	1000	0	
დაკრძალვის ხარჯების თანადაფინანსებაში ფულადი დახმარება	20000	23000	23000	0	

**III თავი. მუნიციპალიტეტის კაპიტალური ბიუჯეტის შესრულება**

2021 წლის ბიუჯეტით კაპიტალური ხარჯები გათვალისწინებული არ ყოფილა

**IV თავი. მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების ბიუჯეტების შესრულება:**

ცხრილი #11

ა(ა)იპ სოფელ აჟარის საბავშვო ბაღი 03 01						
დასახელება	სულ წლის გეგმა	მ.შ. საკუთარი სახსრები	მ.შ. მუნიციპალური ბიუჯეტი	სულ წლის ფაქტი	მ.შ. საკუთარი სახსრები	მ.შ. მუნიციპალური ბიუჯეტი
შემოსულობები	37000	0	37000	36600		36600
სუბსიდია	37000	0	37000	36600		36600



გადასახდელები	37000	0	37000	36600		36600
ხარჯები	37000	0	37000	36600		36600
შრომის ანაზღაურება	6600		6600	6600		6600
საქონელი და მომსახურება	30400		30400	30000		30000
ნაშთის ცვლილება	საწყისი		40ლ48თ	საბოლოო		34ლარი98
<b>ა(ა)იპ აჭარის კულტურის ცენტრი 04 02 02</b>						
<b>დასახელება</b>	<b>სულ წლის გეგმა</b>	<b>მ.შ. საკუთარი სახსრები</b>	<b>მ.შ. მუნიციპალური ბიუჯეტი</b>	<b>სულ წლის ფაქტი</b>	<b>მ.შ. საკუთარი სახსრები</b>	<b>მ.შ. მუნიციპალური ბიუჯეტი</b>
შემოსულობები	26000		26000	25123		25123
სუბსიდია	26000		26000	25123		25123
გადასახდელები	26000		26000	25123		25123
ხარჯები	26000		26000	25123		25123
შრომის ანაზღაურება	10500		10500	10500		10500
საქონელი და მომსახურება	15500		15500	14623		14623
ნაშთის ცვლილება	საწყისი		15ლარი98	საბოლოო		15ლარი98
<b>ა(ა)იპ აჭარის სპორტსკოლა 04 01 02</b>						
<b>დასახელება</b>	<b>სულ წლის გეგმა</b>	<b>მ.შ. საკუთარი სახსრები</b>	<b>მ.შ. მუნიციპალური ბიუჯეტი</b>	<b>სულ წლის ფაქტი</b>	<b>მ.შ. საკუთარი სახსრები</b>	<b>მ.შ. მუნიციპალური ბიუჯეტი</b>
შემოსულობები	28000		28000	27000		27000
სუბსიდია	28000		28000	27000		27000
გადასახდელები	28000		28000	27000		27000
ხარჯები	28000		28000	27000		27000
შრომის ანაზღაურება	12000		12000	12000		12000
საქონელი და მომსახურება	16000		16000	15000		15000
ნაშთის ცვლილება	საწყისი		0ლარი74	საბოლოო		0ლარი74

ანგარიში მოამზადა საბიუჯეტო-საფინანსო სამსახურის უფროსმა მარინა დევდარიანმა

